



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 417

22/02/2018

ქალაქი ბათუმი

417-05-4-201802221649



მოქალაქე ზაურ შერვაშიძის ადმინისტრაციული საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიაში 2018 წლის 29 იანვარს წარმოდგენილი იქნა მოქალაქე ზაურ შერვაშიძის 1292/05 ადმინისტრაციული საჩივარი. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მერიის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურმა 2018 წლის 15 იანვარს მიიღო N02 დადგენილება სამშენებლო საქმიანობაში სამართალდარღვევის გამო ზაურ შერვაშიძის მიმართ უნებართვო მშენებლობის დემონტაჟის თაობაზე. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ არ ეთანხმება დადგენილებას შემდეგ გარემოებათა გამო, კერძოდ: საჯარო რეესტრის მონაცემებით, რომლის დემონტაჟზეც იქნა მიღებული სამსახურის დადგენილება, წარმოადგენს ორი ადამიანის საკუთრებას: კერძოდ ლიანა შერვაშიძის და ზაურ შერვაშიძის. სადაო დადგენილება კი არღვევს ლიანა შერვაშიძის საკუთრების უფლების კონსტიტუციურ უფლებას. ასევე აღნიშნავს, რომ სადაო დადგენილება მიღებულია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების შეფასებისა და გამოკვლევის გარეშე. „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25-ე მუხლის თანახმად - თუ უნებართვო მშენებლობის მწარმოებელი პირი დადგენილია და მიწის ნაკვეთი სახელმწიფო ან/და თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაა, უფლებამოსილი ორგანო მითითების გაცემისა და შემოწმების აქტის შედგენის საფუძველზე იღებს დადგენილებას უნებართვო მშენებლობის დემონტაჟისა და დამრღვევისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ, რომლის გასაჩივრებაც არ აჩერებს აღნიშნული დადგენილების მოქმედებას დემონტაჟის ნაწილში“, ხოლო განსახილველ შემთხვევაში მიწა რომელზედაც მიმდინარეობდა უნებართვო მშენებლობა წარმოადგენს ზაურ შერვაშიძისა და ლიანა შერვაშიძის კერძო საკუთრებას. საბოლოოდ მოთხოვნილია ბათილად იქნას ცნობილი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის 2018 წლის 15 იანვრის დადგენილება N02 და განსახილველ ადმინისტრაციულ საჩივარზე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე შეჩერდეს ზედამხედველობის სამსახურის 2018 წლის 15 იანვრის N02 დადგენილების მოქმედება.

ზემოაღნიშნული გარემოებების შესწავლის მიზნით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავის, ზაურ შერვაშიძის 2018 წლის 29 იანვრის №1292/05 ადმინისტრაციული საჩივრის და 20 თებერვლის №2669/05 განცხადების საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. ზაურ შერვაშიძის ადმინისტრაციულ საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება.

2. ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ მოწვეული იქნენ:

ა) ზაურ შერვაშიძე და ლიანა შერვაშიძე.

ბ) მერიის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის, ზედამხედველობის განყოფილების უფროსი - გიორგი ქურიძე;

გ) მერიის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის, ზედამხედველობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - მამუკა გათენაძე;

დ) მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკის, ქონების მართვის, სოფლის მეურნეობისა და შესყიდვების სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ქონების მართვის განყოფილების უფროსი - ანა ბაჟაშვილი.

3. მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელს (მ. ბახტაძე) დაევალოს:

ა) ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით.

ბ) ამ საკითხთან დაკავშირებით ყველა სახის დოკუმენტაციის მოძიება და კანონით დადგენილი წესით შესწავლა.

4. დაინტერესებულ მხარეებს განემარტოთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად უფლება აქვთ წარმოადგინონ საკუთარი მოსაზრებები და მტკიცებულებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

5. მოქალაქე ზაურ შერვაშიძეს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით ზეპირი მოსმენა გაიმართოს 2018 წლის 1 მარტს 12 საათზე, (მის: ქ. ბათუმი, დიდაჭარის ქუჩა N23, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში, მე-3 სართული, მე-5 ოთახი).

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა

